ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**01-682227221**
თარიღი: **29/09/2022**

ბატონო კობა,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 აპრილის N7 დადგენილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა განისაზღვრა პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეთა 85 საშტატო ერთეულით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 48 ერთეულით. აქედან საშტატო ერთეულით დასაქმებულია 73, ვაკანსია არის 12. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით-46, ვაკანსია-2. ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განსაზღრულია 44 ერთეულით და დასაქმებულია 44 პირი.

2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე მერიაში შემოსულია 3596 კორესპოდენცია. აქედან კანცელარიაში მატერიალური სახით შემოსულია 2262 წერილი, ელექტრონულად მიღებულია -1334. მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა-4647, დასკვნა 108, გადაწყვეტილება 26. ამ პერიოდისათვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 2592 ბრძანება, სამსახურებრივი შიდა მოძრაობის- 1163 წერილი. სოციალურ საკითხებზე შემოსულია 2914 განცხადება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ -188 განცხადება.

მერიის მოსამსახურეთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ვაწარმოებთ პირად საქმეებს, ვამზადებთ სამართლებრივი აქტების პროექტებს, ვამოწმებთ მოსამსახურეების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთ დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულეს და შესაბამისობას, ავღრიცხავთ და კონტროლს ვუწევთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვას. ვადგენთ მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკს, ვაკონტროლებთ კანონით დადგენილ ვადაში დეკლარაციების წარდგენის პროცესს.

2018 წლიდან ხდება პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება, რის საფუძველზეც 2022 წლის 3 იანვარს მოხდა კლასის მინიჭება (მეორე კლასი) პროფესიულ საჯარო მოხლეებზე- სულ.: მეორე კლასი -52, პირველი კლასი 13.

მიმდინარე წელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადდა 19 კონკურსი.

დანართი: 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ნანა გიორგაძე

ადმინისტრაციული სამსახური-საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება-
განყოფილების უფროსი